სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

11 - ივლისი, 2024 წელი

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 01-02/115

**ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „ბუნებრივ ნაერთთა ანალიზის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ ნონა აბაშიძის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღის დანიშვნისა და დარგობრივი სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №19 დადგენილების, „საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ" ბსუ-ს აკადემიურის საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N49 დებულების, ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 14 სექტემბრის №01-09/513 ბრძანების (ნონა აბაშიძის დოქტორანტურაში ჩარიცხვის შესახებ), ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 10 დეკემბრის №01-08/729 ბრძანების (ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიოორგანული ქიმიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთათვის ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ), ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 9 მარტის №01-08/77 ბრძანების (2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის ბსუ-ს სტუდენტთა მიერ საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლის (შიდა მობილობის) შესახებ), საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების (09.07.2024, ოქმი №27–20/3) და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სამსახურებრივი ბარათის (MES 4 24 0000840623, 10/07/2024) საფუძველზე

## ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის „ბუნებრივ ნაერთთა ანალიზის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ ნონა აბაშიძის სადისერტაციო ნაშრომის **„დასავლეთ საქართველოში გავრცელებული სხვადასხვა მცენარეული წარმოშობის თაფლის ბიოლოგიურად აქტიურ ნაერთთა კვლევა UPIC-MS მეთოდით"** საჯარო დაცვა დაინიშნოს 2024 წლის 25 ივლისს, 13:00 საათზე, №328 აუდიტორიაში (ბსუ-ს II კორპუსი, მე-3 სართული, ბათუმი, ნინოშვილის /რუსთაველის №35/32).

2. დამტკიცდეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი დარგობრივი **სადისერტაციო კომისია** შემდეგი შემადგენლობით:

2.1. **ალეკო კალანდია** - ბიოლოგიის დოქტორი, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ქიმიის დარგობრივი დეპარტამენტის პროფესორი; ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის ქიმიური ანალიზისა და სურსათის უსაფრთხოების განყოფილების უფროსი (კომისიის თავმჯდომარე);

2.2. **მზია დიასამიძე** - ქიმიის დოქტორი, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ქიმიის დარგობრივი დეპარტამენტის მოწვეული უფროსი მასწავლებელი (კომისიის მდივანი);

2.3. **რაული გოცირიძე** - ქიმიის დოქტორი, ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;

2.4. **მაია ხარაძე** - ქიმიის დოქტორი, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ქიმიის დარგობრივი დეპარტამენტის მოწვეული უფროსი მასწავლებელი;

2.5. **მაია ვანიძე** - ბიოლოგიის დოქტორი, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ქიმიის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;

2.6. **რუსლან დავითაძე** - ქიმიის დოქტორი, ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი;

2.7. **თინა ხარებავა** - ქიმიის დოქტორი, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ქიმიის დარგობრივი დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი;

2.8. **ირინა ბეჟანიძე** - ქიმიის დოქტორი, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ქიმიის დარგობრივი დეპარტამენტის პროფესორი;

2.9. **ედიშერ კვესიტაძე** - ბიოლოგიის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, აკადემიკოსი.

3. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის ოფისმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დოქტორანტისათვის გაგზავნა და მის პირად საქმეში განთავსება.
4. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანმა უზრუნველყოს დოქტორანტისა და შესაბამისი სადისერტაციო კომისიის წევრების ინფორმირება საჯარო დაცვის თარიღისა და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.
5. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (პროფ. ა. ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს (ასოცირებულ პროფესორ მარინა ნაგერვაძეს) და საბჭოს მდივანს (ასოცირებული პროფესორი ეთერ ჯაყელს), საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ.30).

რექტორი, პროფესორი მერაბ ხალვაში